ოქმი:ო12. 3724354001
თარიღი:19/12/2024

ოქმი N 16

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2024 წელი, 18 დეკემბერი
ქ.ოზურგეთი
14:00-15:00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქეთევან ხომერიკი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ხ. ცერცვაძე, ნ. ჭანიშვილი, ნ. სარჯველაძე, ნ. ნადირაშვილი, ე. გორდელაძე, მ. ვაშალომიძე. ნ.სარჯველაძე, დ. მდინარაძე, ბ. მელუა, მ. ჩხიკვიშვილი, ი. თუთბერიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

თანამომხსენებელი: მაიზერ ცელაძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის

2025 წლის სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმა, კომისიის წევრებს მოკლედ მოახსენა მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის თაობაზე, ვრცელი ინფორმაცია კომისიის წევრებს მიაწოდა თანამომხსენებელმა მ. ცელაძემ, მან ძირითადად ისაუბრა იმ პროგრამულ და ქვეპროგრამულ ცვლილებებზე, რომლებიც შეტანილია არსებულ წესში, აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანი ზრდაა ონკოდაავადებულთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა დახმარებების პროგრამების დაფინანსებაში. სიახლეა პერსონალური ასისტენტის მომსახურების პროგრამა-10 -ადამიანზე. კომისიის წევრმა დ. მდინარაძემ განაცხადა, რომ კარგი იქნება თუ დაფინანსდება მკერდის კიბოს მოლუკულარული კვლევის პროგრამა. კომისიის წევრმა ბ. მელუამ აღნიშნა, რომ ერთერთი მაქსიმალურთან მიახლოებული დადგენილების პროექტია, კარგი იქნება თუ მომავალში გათვალისწინებული იქნება კომისიის წევრ დ. მდინარაძის წინადადება. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმა, კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის კორექტირებულ პროექტზე, აღნიშნა, რომ საკრებულოში შემოტანილი იქნა არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში და პროცედურების დაცვით, შემდეგ პროექტის გასაცნობად სიტყვა გადასცა თანამომხსენებელ პ. ჭყონიას. თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ კომისიის წევრებს გააცნო 2025 წლის კორექტირებული ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, 2025 წლის ბიუჯეტის ოდენობა განისაზღვრება 43.400. ათასი ლარით, შემდეგ თანამომხსენებელმა პ.ჭყონიამ კომისიის წევრებს მიაწოდა კონკრეტული ინფორმაცია ბიუჯეტის პრიორიტეტებით გათვალისწინებული პროგრამების, ქვეპროგრამების დაფინანსებაზე, რომლებიც ფუნქციურად კომისიის შესწავლისა და განხილვის საგანია. აღინიშნა, რომ ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გამოყოფილი თანხები კორექტირებულ ბიუჯეტში გაიზარდა 2 მილიონი ლარით და შეადგინა 8 მილიონი. ამის შემდეგ თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ ისაუბრა საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების და ფრაქციების მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების ბიუჯეტში გათვალისწინების თაობაზე და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა დარგობრივი კომისიების შენიშვნებზე. კორექტირებული ბიუჯეტის პროექტის მიმართ კომისიის სხდომაზე შენიშვნები არ დაფიქსირდა. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით. სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმა, კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია დღის წესრიგის მე-3 საკითხზე, ვრცლად ისაუბრა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, აღინიშნა, რომ პროექტი ძირითადად ეხება მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების 10% ზრდას. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას.

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს გააცნო კომისიის სამუშაო ჯგუფის მიერ შედგენილი 2025 წლის სამუშაო გეგმა, კომისიის წევრებმა მოიწონეს გეგმა და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი წარდგენა საკრებულოს ბიუროზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

1.დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და დღის N 2 საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განხილვა- დამტკიცების მიზნით.

2. N 1,3 საკითები წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

3.კომისიის 2025 წლის სამუშაო გეგმა დასამტკიცებლად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი